პირველი მატჩი, პირველი გამარჯვება

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 1 მარტი. 62 000 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (მოსკოვი) 2:1.

თბილისი: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, მახარაძე, მიქაბერიძე, შენგელია, მესხი.

მოსკოვი” დერგუნოვი, სილკინი, ნოვიკოვი, ფომიჩოვი, გოლოვნია, ვასილიევი, ატაულინი, დუმანსკი, გოროდიუკი, კარატაევი, გაზაევი.

მე–13 წთ. ვასილიევი, 27–ე წთ. შენგელია, 64–ე წთ. შენგელია.

46–ე წთ. გაზაევის ნაცვლად – მატიუნინი, 69–ე წთ. ვასილიევის ნაცვლად – მოლოდცოვი, 72–ე წთ. მიქაბერიძის ნაცვლად – ჩქარეული, 83–ე წთ. მახარაძის ნაცვლად – ფრიდონიშვილი.

მსაჯი: ალექსანდრ ხოხრიაკოვი (იოშკარ–ოლა).

კარში დარტყმა – 12:8 (8:5), ზუსტი დარტყმა – 5:4 (4:2), საჯარიმო მოედნიდან – 7:2 (5:1).

კუთხური: 5:2 (4:0).

დაჯარიმდნენ: თბილისელები 9 (6), მოსკოველები 7 (4).

კონტრშეტევა და ვასილიევის გოლი მოჰყვა – 0:1. არ ვიცი, ამ გოლმა იმოქმედა თუ მოსკოველებმა ნამდვილად ვეღარ შეძლეს მეტი, ეს კი იყო – თბილისელთა კართან სახიფათო სიტუაცია მატჩის დასასრულამდე აღარ შექმნილა.

ნებისმიერი გოლი ყოველთვის ვიღაცის კარგი თამაშის ანდა შეცდომის შედეგია. ბუნებრივია, მეტ–ნაკლებად. მე–13 წუთზე ურიგოდ არ უთამაშიათ მოსკოველებს, მაგრამ თბილისელ მცველთა შეცდომაც აშკარა იყო. ამ შეცდომაზე ალბათ არც ეღირებოდა ამდენი ლაპარაკი, ერთი გარემოება რომ არა: იმავე მცველებმა მერე მთელი შეხვედრის განმავლობაში ორმაგად აანაზღაურეს დანაკარგი, ყოველ შემთხვევაში, ისე ითამაშეს, რომ, ვიმეორებ, სტუმრებისთვის გოლის გატანის შანსიც კი არ მიუციათ.

მაგრამ ერთია არ მისცე მეტოქეს საშუალება და, სულ სხვა – შენ თვითონ შეუტიო. იმ გაშვებული გოლის შემდეგ მასპინძელთა გუნდი ერთხანს უსისტემოდ მოქმედებდა, კიდევ ცოტაც და ეს უსისტემობა უთუოდ გადაიზრდებოდა არეულობაში ჩივაძის რამდენიმე დინჯი “გამოხდომა” რომ არა. კაპიტნის მინდვრის ცენტრში გამოჩენა და ორიოდ ზუსტი პასი საკმარისი გამოდგა მატჩის პირველ წუთებში დაწყებული იერიშების გასაგრძელებლად.

27–ე წუთი. კომბინაცია სვანაძე–მახარაძე–შენგელია. მოსკოველთა ახალგაზრდა მეკარე ამ ეპიზოდში მაინცდამაინც კარგად ვერ თამაშობს და შენგელიაც ხელიდან არ უშვებს შანსს – 1:1.

თბილისელები საბოლოოდ დამშვიდდნენ. რა თქმა უნდა, ეს არ იყო მეტისმეტი თვითდაჯერება, მაგრამ მასპინძელთა მოქმედებაში მაინც იგრძნობოდა, რომ დარჩენილ დროში აუცილებლად მიაღწევდნენ თავისას. ბევრი აღარაფერი უკლდა მეორე გოლს 39–ე წუთზე. არზიანი მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა მოსკოველთა საჯარიმოში და უმეკარეოდ დარჩენილი კარის წინ ჩააწოდა ბურთი. სამწუხაროდ, თბილისელთაგან იქ არავინ აღმოჩნდა.

მეორე ტაიმში ბევრი არაფერი შეცვლილა – თბილისელთა იერიშებს მოსკოველები იშვიათი და უშედეგო კონტრშეტევით პასუხობენ. მატჩში ყველაზე

დასახსომებელი ალბათ მაინც მასპინძელთა განაპირა მცველების არზიანისა და სვანაძის იერიშები იყო. თუმცაღა, ეს გაბედული რეიდები დაცვის ცენტრში ჩივაძის, კეტაშვილისა და ჭედიას საიმედო თამაშმა გახადა შესაძლებელი. ალბათ ცალკე უნდა აღნიშნოს ამ ზონაში კეტაშვილის დებიუტი. როგორც კიეველთა საკონტროლო მატჩში ახალგაზრდა ფეხბურთელმა გუშინდელ შეხვედრაშიც წარმატებით გაართვა თავი ამოცანას.

64–ე წუთზე თბილისელთა კომბინაცია (სვანაძე–მახარაძე–შენგელია) შენგელიას ზუსტი დარტყმით და გოლით დასრულდა – 2:1.

და ბოლოს, როგორც თავშივე ვთქვით, მართლაც ბევრს ნიშნავს გუნდისთვის ჩემპიონატის სტარტზე ორი ქულის მოპოვება, თანაც ტრადიციულად ისეთ უხერხულ მეტოქესთან, როგორიც მოსკოვის "დინამოა".

ირაკლი ბერიაშვილი.

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

დავით ყიფიანი, თბილისის "დინამოს" უფროსი მწვრთნელი: "ჩემპიონატის პირველ მატჩში გამარჯვება ორმაგად სასიხარულოა და მეც, ცხადია, კმაყოფილი ვარ თამაშის შედეგით. მით უმეტეს, რომ ორი ქულა მოვიპოვეთ გუნდთან, რომელიც ინტენსიურად ემზადება ევროპის ერთ–ერთი ყველაზე საპრესტიჟო საკლუბო ტურნირის მეოთხედფინალური შეხვედრებისთვის. თუმცა აქ ერთი ფაქტორიც გასათვალისწინებელია – მოსკოველებს ეტყობოდათ, რომ ისინი ფიქრით უკვე საბერძნეთში იყვნენ და ქვეცნობიერად "ლარისასთან" სათამაშოდ ემზადებოდნენ. ასმასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო 1981 წელი, როცა "ფეიენოორდთან" მატჩის წინ მოსკოველ თანაკლუბელებს შევხვდით. ჩვენ ის მატჩი წავაგეთ, მაგრამ შემდეგ "ფეიენოორდსაც" მოვუგეთ და თასების თასიც მოვიპოვეთ. მოსკოვის "დინამოს" ვუსურვებ, ჩვენი გზა გაემეორებინოს".

ალექსანდრ სევიდოვი, მოსკოვის "დინამოს" უფროსი მწვრთნელი: "უპირველეს ყოვლისა, მინდა დამსახურებული გამარჯვება მივულოცო თბილისის დინამოელებს, მათ მთელი მატჩი მაღალ ტემპში, მეტად აქტიურად ჩაატარეს, რითაც თასების თასის მეოთხედფინალის წინ კარგი სამსახური გაგვიწიეს. ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ შევძელით საბრძოლო შემადგენლობის გამოყვანა – ავად გაგვიხდა ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელი. საქმე იქამდე მივიდა, რომ იძულებული გავხდით მოსკოვიდან გამოგვეძახებინა ჩვენი მესამე მეკარე დერგუნოვი. ვერ ითამაშეს სტუკაშოვმა, პუდიშევმა, პირველი ტაიმის შემდეგ გაზაევიც შეუძლოდ შეიქნა. თბილისელთაგან განსაკუთრებით მომეწონა შენგელია, რომელიც გამუდმებული მოძრაობით, პოზიციის ჩინებული შერჩევით დიდ ხიფათს უქმნიდა ჩვენს კარს. გამოვყოფდი ჩივაძესაც, მესხსაც, კეტაშვილსაც. ერთი სიტყვით, მასპინძლებმა სავსებით დაიმსახურეს მოპოვებული ორი ქულა".

"ლელო", 2 მარტი, 1985 წ.